# საქართველო

№11 (38) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 14 მარტი 1943 წ.

# თვითეული ქართველის ღირსების საქმე

ბოლშევიზმი 22 წლის მანძილზე ღრღნის ქართველი ერის ნაციონალურ გრძნობას. ინტერნაციონალური პროპაგანდის შხამითა და სასტიკი ტერორით სწამლავს იგი ქართველი ხალხის ეროვნულ შეგნებას, რათა ძირბუდიანად ამოაგდოს ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მღელვარე ინსტინქტი, საუკუნეებით გულმხურვალედ რომ უტარებიათ ჩვენს წინაპრებს.

ბოლშევიზმმა ჯოჯოხეთად გადააქცია ქართული მამული. ექსპლოატაციის საბჭოთა სისტემამ, საკოლმეურნეო წყობილებამ გააჩანგა და ნასახლარს დაამსგავსა სოფელი, ქართველი გლეხი, ჩვენი ეროვნული სიამაყე დაკნინდა, სიმშილით სიკვდილს ებრძვის. შინსახკომის ჯალათებმა გაანადგურეს ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი — ინტელიგენცია, დაანგრიეს ტრადიციული ქართული ოჯახი, გაათახსირეს ათასწლოვანი კულტურა და თავისუფლების მოყვარულ ქართველ ხალხს მონობის უღელი დაადგეს. შიში, სიმშილი, დევნა, კატორღა — აი ჩვენი თანამემამულეთა მწარე ხვედრი 22 წლის მანძილზე.

ბოლშევიკებმა დაანგრიეს და გააპარტახეს ეროვნული საქართველო, მაგრამ ვერ შესძლეს გაეტეხათ ჩვენი ხალხის მებრძოლი რწმენა, გაეხრწნათ იგი სულიერად. ბოლშევიკების ბატონობის მთელს მანძილზე ქართველი ხალხი, მისი საუკეთესო შვილები იარაღით ხელში ებრძოდა თავის დამმონებელს. ჩვენი ძმებისა და მამების ცხელი სისხლითაა შეღებილი ხევსურეთის მთები, დუშეთის ხევები, არგვეთის ველები, სოფლები. ქართველი ხალხი დღესაც იბრძვის თავგანწირვით ნაციონალური თავისუფლებისათვის.

დღეს, როცა გიგანტური ბრძოლა, რომელიც ახალი ევროპის ძალებსა და მტაცებლურ ბოლშევიზმს შორის სწარმოებს, შევიდა უმძაფრესს პერიოდში, მთელი პროგრესიული კაცობრიობის წინაშე ნათელია ვის სასარგებლოდ მუშაობს დროება. დაჩაგრული ქართველი ხალხის იმედი მიპყრობილია დიადი გერმანიისაკენ, მისი ძლევამოსილი ლაშქარისაკენ, რომელსაც პატარა ერებისათვის მოაქვს ნაციონალური მშვიდობა.

**თვითეული ქართველი ადამიანისათვის საამაყოა ის გარემოება, რომ გერმანიის არმიასთან ერთად როგორც მისი მოკავშირე, იბრძვის ქართული ლაშქარი. ქართული ლეგიონი არის ჩვენი ხალხის ნამდვილი ნაციონალური შეიარაღებული ძალა, რომელიც იბრძვის თავისი ერის ეროვნული განთავისუფლებისათვის.**

ბოლშევიზმი ისტორიულად განწირულია, იგი უნდა დაიღუპოს. ქართველ ხალხს სურს იცხოვროს დამოუკიდებელი ეროვნული ყოფით, გადააგდოს საუკუნოვანი მონობის უღელი, ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ აღიგავოს პირისაგან მიწისა ბოლშევიზმი.

მამულის განთავისუფლებისათვის ბრძოლა მოითხოვს მსხვერპლს. ახლა, როცა ჩვენი ძმები აღმოსავლეთის ფრონტზე თოვლიან ქარიშხალში და ტყვიების თქეშში სწერენ გამარჯვების ახალ ფურცლებს, როცა ბრძოლის პირობები სულ უფრო და უფრო მოითხოვენ ძალების დაჭიმვას, თვითეულმა პატიოსანმა ქართველმა უნდა ჰკითხოს თავის თავს, რით ეხმარება იგი სამშობლოსათვის მებრძოლთ! რა გვესაჭიროება დღეს ჩვენ ქართველ ხალხს, ხალხს, რომლებიც მამულის საზღვრებს მიღმა ვიმყოფებით? **პირველყოვლისა ერთსულოვნება, ერთიანი ფრონტის შექმნა, შემჭიდროება ჩვენი მებრძოლი ძმების გარშემო.**

გადამწყვეტ დღეებში, როცა სწყდება ჩვენი ერის ბედი, ჩვენ მებრძოლი ახალგაზრდები მოუწოდებთ ყველა პატიოსან ქართველს, ვის გულსაც აშფოთებს დატანჯული მამულისშვილთა გმინვა შეავსოს ჩვენი რიგები, ემსახუროს მამულის საქმეს.

**ჩვენ გვინდა საქართველო თავისუფალი იყოს. ქართველი ხალხის ერთიანი სურვილია დაემხოს ბოლშევიზმი, ააშენოს ახალი ეროვნული ცხოვრება უბოლშევიკებოდ, უკაპიტალისტებოდ. ამას მივაღწევთ მაშინ თუ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შევქმნით რკინისებურ ერთიანობას, გამოვსჭედავთ ნამდვილ ქართულ ერთსულოვნებას. ხალხის თავისუფლება, ხალხის სისხლითვე იწერება, ამიტომ თვითეულ ჩვენგანს სამშობლოს სამსხვერპლოზე შესაწირავად უანგაროდ უნდა მოჰქონდეს ყველაფერი. ამას უნდა გრძნობდეს თვითეული ქართველი.**

ქართველო ხალხო კვლავ დავბადოთ ქართული პატრიოტული აღმავლობა!.. კვლავ ვაჩვენოთ მტერს, რომ ჩვენ ქართველებს შეგვიძლია გმირული ბრძოლა მამულისათვის, ბრძოლა მთელი ფანატიკურობითა და თავგანწირვით!

**ჩვენ ქართველ ლეგიონერებს გვწამს გამარჯვება!.. ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენ გვერდითაა გერმანელი ჯარისკაცი, ჩვენ წინ მიგვიძღვის უძლეველი გერმანული ჯავშანი, ჩვენს ზემოდ ლაჟვარდში სრიალებენ გერმანიის ფოლადის არწივნი, ჩვენი ბრძოლის დროშა ფრიალებს გერმანული ნაციონალური დროშის გვერდით. ამ პირობებში იბრძოლო, ნიშნავს გამარჯვებას.**

ბრძოლის დღეებში როცა ჩვენი წმინდა სისხლი ილვრება მამულისათვის, ჩვენ მოუწოდებთ ქართველ ხალხს, ყველაფერი ძვირფასი მისცეს მამულის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას—აი რა შეადგენს დღეს თვითეული ქართველის სიამაყისა და ღირსების საქმეს.



... და ჩერჩილმაც შემოსძახა: ამფერ, ჩემო დათუნაო, როგორ გშვენის ეგ დავლური, მალაყები და ხტუნვაო!

## მორიგი საზღვაო გამარჯვება

**საზღვაო ბრძოლა მძაფრ ხასიათს ღებულობს. გერმანიის წყალქვეშა ნავები მტრის საზღვაო ფლოტს გამანადგურებელ ზარალს აყენებენ. გერმანიის უმაღლესი სარდლობის 11 მარტის საექსტერნო ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავები განაგრძობენ მოქმედებას. 10 მარტს ისინი შეხვდნენ ჩრდილო ამერიკიდან ინგლისში მომავალ მტრის გემთა ქარავანს. მიუახლოვდნენ რა მათ მიიტანეს იერიში, ჩაძირულია მტრის 13 გემი, დატვირთული სამხედრო საჭურველითა და შეიარაღებით, მათი საერთო წყალწყვა აღწევს 73 ათასს ბრუტტო-ტონას.**

**გერმანიის წყალქვეშა ნავებმა 24 საათის განმავლობაში მიუხედავად ცუდი ამინდისა შესძლეს ჩაეძირათ და გაენადგურებიათ მტრის 36 გემი 207 ათასი ბრუტტო-ტონის საერთო წყალწყვით. მათ შორის 8 გემი, რომლებსაც მიჰქონდათ საბრძოლო მასალები, მოხვედრილი ტორპედების გამო აფეთქდნენ ჰაერში.**

## ყუბანის ხიდის თავთან

10 მარტს ბოლშევიკებმა მიიტანეს ტალღისებური შეტევები ყუბანის ხიდისთავის აღმოსავლეთ ნაწილზე. ისინი ცდილობდნენ მსხვილი ძალებით გაერღვიათ გერმანელთა თავდაცვის ხაზი და შეჭრილიყვნენ მისი ფრონტის სიღრმეში. გერმანიის არმიამ მოიგერია და უკუაგდო ბოლშევიკების შემოტევა. მტერმა გამანადგურებელი ზარალი განიცადა. გერმანიის ავიაციამ რამდენჯერმე მიიტანა იერიში წითელი არმიის ბატარეათა პოზიციებზე კრასნოდარის სამხრეთ-დასავლეთით, იგი ყუმბარებს უშენდა და ანადგურებდა ბოლშევიკების სატანკო შენაერთებს, ჯარის კოლონებსა და სატრანსპორტო უბნებს. ბრძოლა გრძელდება.

## ბრძოლა ხარკოვის რაიონში

ხარკოვის რაიონში ბოლშევიკები გააფთრებით ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ გერმანიის არმიის წინსვლას, მაგრამ გმირული ბრძოლით გერმანიის ფეხოსანი ჯარი, ტანკების დახმარებით, სძლევს მტრის ძალას. გერმანიის არმიის ჯგუფებმა რამდენიმე ადგილს გაარღვიეს ბოლშევიკების სიმაგრენი და წაიწიეს წინ ჩრდილოეთით, აგრეთვე დასავლეთით ქალაქის გარეუბნამდე.

უკანასკნელ დღეებში საიერიშო ბრძოლებისას გერმანიის ქვემეხთა ერთი ბატარეა და მზვერავთა ჯგუფი მიუხედავად მტრის მძიმე მოგერიებითი ცეცხლისა გადავიდა მდინარეზე და აიღო ახალი სივრცე. მტერმა, რომელმაც განიცადა ზარალი და მარცხი უწესრიგოდ დაიხია უკან და დასტოვა ეს ადგილი. გერმანელებმა ხელთ იგდეს და გაანადგურეს ბოლშევიკების ჯარის 26 ქვემეხი, 7 ტანკი და 6 საბარგო ავტო-მანქანა. მტერმა ბრძოლისველზე დასტოვა 300-ზემეტი მკვდარი ჯარისკაცი.

## ლაჩრული იერიში

4 მარტს მტრის ერთმა წყალქვეშა ნავმა მრავალი ტორპედოთი იერიში მიიტანა იაპონიის დიდ სანიტარულ გემზე „მანილა მარუზე“. მტერმა მიზანს ვერ მიაღწია. ამგვარი ლაჩრული იერიში ინგლისელთა და ამერიკელთა წყალქვეშა ნავების მიერ სანიტარულ გემებზე 1942 წლისდეკემბრიდან უკვე 13ჯერმოხდა.

## ინგლისელთა მხეცობანი

მახლობელ აღმოსავლეთიდან განუწყვეტლივ მოდის ცნობები ახალი ანტი-ინგლისური დემონსტრაციების შესახებ. ბრიტანეთის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს არაბულ სოფელს ცაიტას. მცხოვრებთა შორის არის ურიცხვი მსხვერპლი.

## გმირთა მოგონების დღე

**გმირთა მოგონების დღეთ გერმანიაში წელს დაწესებულია კვირა 21 მარტი. შეიარაღებული ძალების დღის აღნიშვნა მოხდება 28 მარტს. გმირთა მოგონების დღეს სალამოს 24 საათამდე ყველა სახის გასართობი აკრძალულია. ნება დართულია მხოლოდ სერიოზული სახის წარმოდგენები.**

# მდგომარეობა ფრონტებზე

ყუბანის მისასვლელ' სიმაგრეებთან, მიუსისა და დონეცის უბნებზე მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა. გერმანიის არმიის სატანკო შენაერთებმა გაარღვიეს რა ბოლშევიკების პოზიციები, ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და სამხედრო საჭურველი. ხარკოვის სამხრეთით გერმანიის მოტორიზებულმა და „სს"-ს ჯგუფმა გასტეხეს მტრის დიდი წინააღმდეგობა,მტერი უკუგდებულია ჩრდილოეთით. საბჭოთა მე-3 არმია, რომელიც გარშემორტყმული იყო, განადგურებულია. წინასწარი დაანგარიშებით განადგურებულია მტრის225 ქვემეხი, 61 ტანკი, 1.000-მეტი ავტო-მანქანა.

კურსკის დასავლეთითა და ორიოლის რაიონში მტრის შემოტევა მოგერიებული იქნა გერმანიის არმიის ძლიერი კონტრ-იერიშით. მტერმა ბრძოლისას გადმოისროლა ახალი სამხედრო ძალები, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. სტარაია რუსის რაიონში ბოლშევიკები უტევდნენ გერმანელთა სიმაგრეებს, მაგრამ ძლიერი ცეცხლით უკუგდებული იქნენ. ლადოგის ტბის სამხრეთით გერმანელებმა უზრუნველჰყვეს პოზიციების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რის შედეგადაც ტყვედაა ჩაგდებული ასეულობით საბჭოთა ჯარისკაცი და სამხედრო საჭურველი.

აღმოსავლეთის ფრონტის სხვა და სხვაუბნებზე გერმანიის ძლიერი საავიაციო შენაერთები წარმატებით ეხმარებოდნენ სახმელეთო ჯარებს, აყენებდნენ რა მტრის თავმოყრილ ჯარებსა და სიმაგრეებს ზარალს.

ტუნისის ფრონტის სამხრეთ რაიონში გერმანია-იტალიის ჯარებმა აწარმოეს მთელი რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის შეტევანი. სადაზვერვო ნაწილები შეიჭრნენ მტრის ზურგში. ავიაცია წარმატებით უშენდა ყუმბარებს მტრის სატანკო შენაერთებს, მოტორიზებულ კოლონებსა და ჰაეროდრომებს.

ავიაციის თავდასხმის შედეგად მტრის გემთა•ქარავანიდან ჩაძირულია კიდევ ერთი ახალი გემი, გარდა წინად ჩაძირულ 4 გემისა. საფრანგეთის დასახლებულ სანაპიროებზე საჰაერო თავდასხმისას ჩამოგდებულია ინგლისის 3 ოთხმოტორიანი ყუმბარზიდი და 2 გამანადგურებელი.



ალმოსავლეთის ფრონტზე. ქვემეხი მიდის მოწინავე პოზიციაზე.



ლადოგის ტბაზე. მტერზე ნადირობა.

## სუნგის წინადადებანი

ნანკინიდან მიღებული ცნობებით ჩუნკინგის საგარეო საქმეთა მინისტრი სუნგი უკვე თებერვლის შუა რიცხვებიდან აწარმოებს მოლაპარაკებას ამერიკის მთავრობასთან ვაშინგტონში.მართალია სუნგი მიიღო რუზველტმა, მაგრამ მისმიერ გადადგმულნაბიჯებსარავითარი წარმატება არ მოჰყოლია. ამის გამო ჩუნკინგშისლოივს პესიმიზმიარამარტო მოლაპარაკების შედეგისადმი, არამედ ჩან-კაი-შეკის მთავრობისა და მისი რეჟიმისადმისაც.

სუნგი ვაშინგტონში ჩავიდა სამი წინადადებით. პირველყოვლისა მას ამერიკის მთავრობასთან ერთად უნდა დაეწესებინა ჩუნგკინგისათვის სამხედრო საჭურველისა და შეიარაღების მიწოდების ვალები „არენდისა და სესხის" კანონის თანახმად. ამასთან დაკავშირებით სუნგი ეეყრდნობოდა ინგლის-ამეიკელთა მიერ ბირმის რკინისგზისათვის ბრძოლას, რომელიც იაპონელებმა აიღეს გასულ წელს. შემდეგ სუნგს უნდოდა მიეღწია იმისათვის რათა შექმნილიყო სამხედრო საბჭო, რომელიც გადასინჯავდა ინგლისის ომის წარმოების პრინციპს: „ჯერ ევროპა, შემდეგ აზია." სუნგის სურვილებმა, შეეცვალა ომის კურსი, ამაოდ ჩაიარეს.

სუნგის მესამე წინადადება ეხებოდა ჩუნკინგის ჩრდილო-დასავლეთი სამი პროვინციის საწარმოო ძალების მობილიზაცია, რისთვისაც მისი აზრით ამერიკას უნდა გაეღო კრედიტი, სპეციალისტები და მანქანები. ამ მესამე წინადადების მიღებაც ვაშინგტონის მიერ მეტად საეჭვოა.

## იაპონელთა წარმატება

იაპონიის საექსპედიციო არმიის უკანასკნელი ცნობების მიხედვით შუა ჩინეთში იაპონიის ჯარის საომარი ოპერაციები ჩუნკინგის არმიის წინააღმდეგ წარმატებით მიმდინარეობს და დასასრულს უახლოვდება. ჩუნკინგის გენერალი ვან-ჩინგ-ძვი ტყვედ ჩავარდა.

## სტალინის გულითადი მადლობა

რეიტერის სააგენტოს ცნობით ჩერჩილმა სტალინისაგან მიიღო მისასალმებელი დეპეშა. კრემლის სატრაპი ამ დეპეშაში გამოსთქვამს უგულითადეს მადლობას იმის გამო, რომ ბრიტანეთის ავიაციამ მოახდინა ბერლინზე ახალი საჰაერო თავდასხმა.

„ღვთის მოციქული" სტალინი მით უფრო აღფრთოვანებულია, რომ ბრიტანელებმა და ამერიკელებმა საცხოვრებელი ბინებისა და საავადმყოფოების გარდა დაანგრიეს 5 ეკლესია.

## ოპერატიული უპირატესობა

გერმანიის არმიის სამხედრო ტაქტიკა აღმოსავლეთის ფრონტზე ბრწყინვალე წარმატებას აღწევს. **გერმანიის არმიის სარდლობის ოპერატიული უპირატესობა სჩანს როგორც იერიშისას, ისე თავდაცვითისამხედრო ოპერაციებისწარმოების დროსაც.უკანასკნელ დღეებში აღმოსავლეთის ფრონტის სხვა და სხვა უბნებზე ბრძოლა ამ ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.**

ბოლშევიკების მწვავე მარცხსა და განადგურებას ფრონტის სამხრეთ ნაწილში ამჟამად მიემატა წითელი არმიის დამარცხება ყუბანზე. როგორც გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყებოდა თავის 5 მარტის ცნობაში, ბოლშევიკები შეეცადნენ გამოეყენებინათ გაყინული ჭაობები და გუბეები, შემოევლოთ გერმანელთა წინა სიმაგრეებისათვის მდინარე ყუბანზე. გერმანელებმა სწრაფად აუღეს ალღო მტრის ოინს, ენერგიულად განავითარეს კონტრ-შეტევა,სამი დღის გმირული ბრძოლის შედეგად ბოლშევიკების არმია უკუგდებული [illegible] გაღმა.

გერმანელთა სიმაგრეების შემოვლის ამოცანა წითელი არმ ის სარდლობის მიერ დაკისრებული ჰქონდა საბჭოთა მე-58 არმიას, რომელმაც კატასტროფიულ დამარცხებ იგემა. გერმანელებმა ისე სწრაფად [illegible] საიერიშო ბრძოლა, რომ მტერს საშუალება აღარ ჰქონდა გადაერჩინა ცოცხალი ძალა. გერმანიის არმია განუწყვეტლივ აყენებდა რა მტერს გამანადგურებელ დარტყმებს,ბოლშევიკები მოექცნენ გაუვალ სივრცეებში, უკან დასახევი გზები კი უკვე გადაჭრილი იყო. [illegible]ანახევროდ განადგურებული საბჭოთა ჯარები ამაოდ [illegible]ილობდნენ თავი მო[illegible]რათ თავიანთი [illegible]ლებისათვის მშრალ ადგილზე და აქედან გაეწიათ გერმანელთადმი წინააღმდეგობა, მაგრამ გერმანიის ფეხოსანი ჯარი, მიარღვიითა რა მკერდამდე მოსულ ჭაობის წყალს, განუწყვეტელი ცეცხლით მტერს არ აძლევდა საშუალებას შეეჯგუფებინა დაქსაქსული ძალები. ამ ბრძოლებში საბჭოთა მე-58 არმია თითქმის მთლიანად იქნა მოსპობილი. ბრძოლის რაიონში ადგილზე დარჩა 2.900 მკვდარი წითელარმიელი, საბჭოთა ჯარის დიდი ნაწილი ჩაიღრჩვა ჭაობის სიღრმეში. სტალინის გენერლების „ახალმა ტაქტიკამ- კვლავ კატასტროფიული განადგურება განიცადა. მათ ამაოდ აირჩიეს ხელსაყრელი ამინდი და გაუვალი მიდამო შემოვლის ოპერაციებისათვის, მაგრამ გერმანიის არმიისათვის, მისი სარდლობის ტაქტიკისათვისა და იარაღისათვის არ არსებობენ გაუვალი მიდამოები, არა ხელსაყრელი ამინდები.

**დონეცის ფრონტზე, გერმანიის კონტრ-იერიშების მთავარ მიზანს შეადგენდა გზა გადაეჭრა სამხრეთით შემოჭრილი ბოლშევიკების არმიისათვის. ეს ოპერაციაც ბრწყინვალე წარმატებით დასრულდა.** 3 მარტს გერმანიის არმიამ აიღო ქალაქი სლავიანსკი, 4 მარტს — ლისიჩანსკი. გერმანიის არმიის კონტრშეტევის შედეგად ხარკოვის სამხრეთით განადგურებამდე მივიდა საბჭოთა მე-3 მოტორიზირებული არმია. ეს არმია შესდგებოდა ორი სატანკო, ერთი ფეხოსანი და ერთი ცხენოსანი კორპუსებისაგან. მძიმე ბრძოლების შედეგად იგი დაქსაქსული იყო, რომლებიც განადგურებული იქნენ გერმანიის არმიის მოტორიზებული და სატანკო შენაერთების კონცენტრაციული ცეცხლით.

კურსკის, ორიოლისა და სტაროირუსის მიდამოებში გრძელდებოდა მძაფრი ბოლშევიკური შემოტევანი. გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ორიოლი მოხსენებულია, როგორც საბჭოთა ტანკების „სასაფლაო." ხოლმის მიმართულებით ბოლშევიკების ცდები, გაერღვიათ გერმანელთა თავდაცვის ხაზი და სიმაგრეები დასრულდა მარცხით. მტერმა განიცადა უდიდესი ზარალი, როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო საჭურველის მხრივაც.

ფრონტის შუა უბანში თავდაცვითი ხაზის შემჭიდროვებისა და ძალების შეჯგუფების მიზნით გერმანელებმა კანონზომიერი მოქმედებით დასტოვეს რჟევის შემდეგ გჟაცკი. ბოლშევიკები თავდაუზოგველად აწარმოებდნენ აქ იერიშს იერიშზე, რათა როგორმე ხელი შეეშალათ გერმანიის ჯარისათვის, რომელიც სრული წესრიგით მიდიოდა დანიშნულ ადგილისაკენ. გერმანელები გზაში იგერიებდნენ საბჭოთა შეტევებსა და გზა და გზა ანადგურებდნენ ბოლშევიკების სამხედრო შენაერთებს. ერთ-ერთი კონტრ-შეტევისას გერმანელებმა შესძლეს საზენიტო ჯგუფების გადაყვანა მტრის ზურგის სიღრმეში, რომელმაც საბჭოთ ჯარის მრავალი ავტომანქანა და ქვემეხი გაანადგურა. მიუხედავად მტრის ძლიერი და გამუდ[illegible]ებული ცეცხლი[illegible]ა გ[illegible]მანიის ჯარების გადაადგილება სწარმოებდა წესრიგით. გჟაცკის ჩრდილოეთით ბოლშევიკებმა განავითარეს 45 შეტევა რათა ჩაეშალათ გერმანელთა გეგმა, მაგრამ მიზანს ვერცერთჯერ ვერ მიაღწიეს.

გერმანიის არმიის საომარი ოპერაციები აღმოსავლეთის ფრონტზე წარმატებით მიმდინარეობს. შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლები იმყოფებიან ორგანიულს კავშირში, მოქნილი ტაქტიკისა და ოპერაციების ელასტიურად წარმოების უნარი გერმანიის არმიის სარდლობას ანიჭებს ძლიერს ოპერატიულ უპირატესობას ფრონტის თვითეულ უბანზე, თვითეულს ბრძოლაში.



იტალიის სანაპიროებთან.

# მოკლე ცნობები

▲ რომიდან იტყობინებიან, რომ 50 ათასი არაბი, რომელთაც დასტოვეს მაროკო და ალჟირი ამჟამად იმყოფებიან ტუნისში.

▲ ჟირომ ფინანსთა გენერალურ კონტროლიორად ჩრდილო აფრიკაში დანიშნა ებრაელი გინსბურგი.

▲ ნიუ-იორკის კათოლიკური ეპისკოპოსი შპელმანი, რომელიც ვატიკანში იყო, ოთხჯერ მიიღო რომის პაპმა.

▲ გენერალისიმუს ფრანკოს ბრძანებით ესპანეთის უკანასკნელი მეფის ალფონს მე-13-ის გარდაცვალების დღე 28 თებერვალი გამოცხადებულია ესპანეთის მეფეთა ხსოვნის დღედ.

▲ „ცისფერი დივიზიის“ ყოფილი მეთაური მუნოზ გრანდე დანიშნულია გენერალისიმუს ფრანკოს სამხედრო კაბინეტის უფროსად. კაბინეტის ყოფილი უფროსი, ალკაზარის გმირი, გენერალი მოსკარტო ითვლება ესპანეთის მე-4 სამხედრო ოლქის მეთაურად.

▲ მანჯუ-დი-გოს დაარსებიდან 11 წლისთავის აღსანიშნავად ტენნომ მანჯუ-დი-გოს იმპერატორს გადასცა სამხედრო ორდენი. ადოლფ ჰიტლერმა მას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

▲ რომის პაპმა მიიღო იტალიის ელჩი ვატიკანში გრაფი ჩიანო.

▲ იაპონიის არმიამ შუა ჩინეთში დაიწყო სამხედრო ოპერაციების ფართოდ წარმოება ჩუნკინგის ჯარების წინააღმდეგ.

▲ ნორვეგიაში დაიხურა ყველაძვირფასიანი რესტორანები და ღამის გამამხიარულებელი დაწესებულებანი.

▲ იაპონელთა მიერ იავის აღების ერთი წლისთავი აღნიშნული იქნა ზეიმით მთელ კუნძულზე.

▲ იტალიის მთავრობის განკარგულებით უახლოეს ხანში გაბრიელიუ-დე-ანნუნციოსათვის აიგება ნაციონალური ძეგლი.

▲ იტალიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა შეუერთდა გერმანიის ჯარის სარდლობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ჩრდილო-აფრიკაში ტყვედ ჩავარდნილი ფრანგები არ იქნან მიჩნეულნი როგორც სამხედრო ტყვეები და განთავისუფლდნენ.

▲ ახალი კანონის თანახმად პორტუგალიის მთელი მეურნეობა იქნება სამხედრო კონტროლის ქვეშ. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ საჭიროა მაქსიმალურად გაიზარდოს სამხედრო მნიშვნელობის საწარმოების ინტენსიობა. პროდუქცია.

## ფრანგი ტყვეების განთავისუფლება

გერმანიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ტყვეთ-ფრანგი ექიმების, კბილის ექიმების, სამედიცინო დებისა და აფთიაქის მუშაკთა ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ. ყველა ისინი დაბრუნებული იქნებიან საფრანგეთში. ტყვეების მომსახურეობისათვის. მათ შეცვლიან საფრანგეთიდან მოსული ექიმები და სამედიცინო მუშაკები, რომლებიც გერმანიაში მოდიან მუშათათვის საერთოდ დაწესებული პირობების საფუძველზე.

## ტაქტიკური ამოცანა №2

### მზვერავთა ჯგუფის მოქმედება




მსროლელთა გაძლიერებული ოცეული მივიდა რა გამოსასვლელ ზღუდეზე, ტყის პირას წისქვილთან, გამოჰყო მზვერავთა ჯგუფი სამი კაცის შემადგენლობით, რომლებიც შეიარაღებულნი არიან ავტომატებით და ხელის ყუმბარებით ამოცანით: იმოძრაონ ტყით, ბილიკზე სოფელ კამენკაში და გამოარკვიონ მტრის ძალა და მისი განლაგება.

მზვერავთა ჯგუფი, მიუახლოვდა რა კურგანს, შეამჩნია მტრის მძიებელი ათეული, რომელიც მოძრაობდა დასავლეთისაკენ შარა გზით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს მზვერავი ჯგუფის მეთაური?

## ტაქტიკური ამოცანა №1 ახსნა

შეაფასა რა ადგილმდებარეობა, ათეულის მეთაურმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ჭალის სამხრეთ ნაპირზე იგი არჩევს პოზიციას და სდგამს ტყვიამფრქვევს ამოცანით: აწარმოოს განუწყვეტელი ცეცხლი მტრის მსუბუქი ტყვიამფრქვევის მიმართ.

თვითონ დანარჩენი მებრძოლებით გამოიყენებს რა ფარულ მისასვლელებს, სამხრეთი ბილიკით გაივლის ხიდს, შემდეგ ქარის წისქვილთან ბუჩქების გამოყენებით აუხვევს ჩრდილოეთით. მიუახლოვდება რა მტრის საცეცხლო წერტილს, იერიშს მიიტანს ყუმბარების გამოყენებით და ყველა საცეცხლო საშუალებით მოხსნის მტრის მსუბუქ ტყვიამფრქვეველს. შემდეგ შეაგროვებს თავის ათეულს და განაგრძობს მოძრაობას სოფელ გეევკის მიმართულებით.

## ფინეთის ახალი მთავრობა

ფინეთის მთავრობის ახალი კაბინეტი შესდგება 16 მინისტრისაგან. ახალი პრეზიდენტ-მინისტრი ლინკომისი, კონსერვატორი, ამდენ ხანს იყო ჰელსინგსფორსის უნივერსიტეტის პრორექტორად და პარლამენტის მეორე ვიცე-პრეზიდენტად. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია დოქტორი რამზაი, უპარტიო, ყოფილი მომარაგების მინისტრი.

ახალი მთავრობა წარუდგა პრეზიდენტს 5 მარტს, ძველი მთავრობის თანდასწრებით. პრეზიდენტმა რუტიმ, ყოფილმა პრეზიდენტ-მინისტრმა რანგელმა და ახალმა პრეზიდენტ-მინისტრმა ლინკომისმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. ახალ მთავრობას 6 მარტს ჰქონდა პირველი საქმიანი სხდომა.

ნაციონალური ფინეთის ახალი მთავრობა შეუდგა თავის მოღვაწეობას ფინეთის ხალხის კეთილდღეობისათვის.

## სუდანის „ავტონომია“

კონსტანტინეპოლიდან მიღებული ცნობებით ინგლისის მთავრობა ემზადება შეჰქმნას სუდანის „ავტონომიური“ სახელმწიფო. როგორც ცნობილია დღემდე სუდანი ითვლებოდა ინგლისის და ეგვიპტის სამფლობელოდ. მართალია ამ ქვეყნის ერთად მფლობელობა იყო ფორმალური, მაგრამ ასე თუ ისე ეგვიპტეს მაინც აძლევდა მცირე შემოსავალს. ინგლისის განზრახვამ სუდანის „ავტონომურ“ სახელმწიფოდ შექმნის შესახებ ქაირში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.



აღმოსავლეთის ფრონტზე. **მარჯვნივ:** გერმანელი მეკავშირენიამყარებენ კავშირს თავიანთ ქვ ემეხებთან. **შუაში:** გერმანელთა ავტო-კოლონა, რომელსაც ჯარისკაცებისათვის მიაქვს სურსათი და სამხედრო საჭურველი მოწინავე პოზიციებზე. **მარცხნივ:** გერმანელ ჯარისკაცს ყინვასა და ქარიშხალში, მტრის შესახვედრად ყოველთვის მზად აქვს თავისი ავტომატი.

# ლიტერატურული ფურცელი

## ქართველ ქალს

რა დამავიწყებს შენს ცისფერ თვალებს,
ან სიცილს, რაიც ხმალზე მჭრელია:
პირველი—ახლაც ალარ მიბრალებს,
მეორე — გველზე უფრო ჭრელია!..
არ გაიკარე სიტყვა ობოლი,
გულში ნაზარდი ვარდები აჭკნე,
უფრო დაენდე გრძნობას მოგონილს
და ყალბ ბარათის ცალთვალა ნაჭერს!..
არ შეისმინე მაშინ ჩემი ხმა,
ლალი სურვილი საგნებს მოაწყდა...
და გაშლილი ფრთა ისე შეგიხმა,
რომ დანანებაც ველარ მოასწარ!..
ვერ დაიოკე გაშლილი ვნება,
რასაც ანთებულ მკერდზე სწურავდი,
უდარდელობის მძივები გება
და ფერიების ზღვაში სცურავდი!..
—რად დაგენისლა თვალები მშვენი?
გრძნობას უნდება უსაზღვრო დენა,—
დაუშრეტელი გეგონა შენა
სილამაზე და გაშლილი ვნება!..
მაგრამ ვარდები ჩამოჭკნა ბალში,
შეწყდა უსაზღვრო სურვილის დენა
და გულს, ზამთრის შავ ნისლივით
გაშლილს,
ალარ უნდება ჩიტივით ფრენა!..
ძველი მშვენება სრულიად დაჭკნა,
ის ძველებურიც ჩაგიქრა ალი,
მაგრამ მე მაინც ნაღვლად დამრჩა
შენი სიცილი და შენი თვალი!..

ლეგ. ვ. ურდოელი.



შეტევა ღამით. ნახ. ლეგ. კ. მ.

## იმედი

მე დავიბადე საქართველოს მცხუნვარ მიწაზე,
მისმა ველებმა ჩამინერგეს ურყევი სული...
ძვლებად ჩამიდგეს დარიალის სალი კლდეები,
ხორცად კი მიწა მამა-პაპურ სისხლით მორწყული.
ჩემო სამშობლოვ ნუ მოიწყენ, კვლავ აჰმაურდი!..
ნეტარი დროის ბრწყინვალე მზე ისევ ამოვა
და დიდი ხნიდან მიჯაჭვული კავკასიონზე,
ბორკილ აყრილი ამირანი ბარად ჩამოვა.

ა. მოხევე.

## სამშობლოს

„ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო"...
შენ გეტრფი, შენით ვამაყობ,
აკაკის დავედარეო.

შორიდან გიძღვნი დიდებას,
ფირუზო არე-მარეო,
ჯალათებისგან დევნილი
გერმანეთს შევაფარეო!

უთავისტომოდ არ დავრჩი,
მტერი არ გავახარეო,
გვერდს ამომიდგა საშველად
დიდი არწივის მხარეო!..

შენგან აღზრდილმა შვილებმა
ომი იციან ცხარიო,
კვალ და კვალ მტერთა შემუსვრით
კვლავ გესტუმრებით მალეო!

მაისის სხივით ნაქარგო,
ილალე, გაიხარეო-
კვლავ გაგინათებს მიდამოს
ახალი ყოფის მთვარეო.

ლეგ. ვ. ურდოელი.

## ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკა

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია სცემს ქართულ ლეგიონისათვის „საველე ბიბლიოთეკას", რომელიც რამდენიმე წიგნისაგან შესდგება. ამჟამად უკვე მზადაა დასაბეჭდათ ბიბლიოთეკის სერიის პირველი წიგნი „ჩვენი სიმღერები". წიგნი შეიცავს 100 გვერდს, შიგ მოთავსებულია ლეგიონერთა ლექსები და პროზაული ნაწარმოები, გაფორმებულია ლეგიონერი მხატვრების მიერ.

## დავიწყებულნი და გამორჩენილნი

**ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის თითქმის სრულიად უცნობია ქართველი მწერლები, რომელთა შემოქმედება ილიასა და აკაკის გრძნობათა სამჭედლოში გამოიწრთო და თავიანთ დროშას — სამშობლოს სიყვარული, ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა დააწერეს. ბოლშევიკები ამ მწერლებს ავიწყებდნენ ქართველ ხალხს. მათ ვერ ნახავდით ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, მათი შემოქმედება ვიწრო სპეციალისტების შესწავლის საგანი იყო. „დავიწყებულნი და გამორჩენილ ნი" ამ წერილში ჩვენ გვსურს დავიწყების მტვერი მოვაცილოთ ქართველ მწერლებს,რომელთაც ჩვენი ხალხის ეროვნული შეგნების ამაღლებისათვის არა ერთი და ორი პატრიოტული სიმღერა და მოწოდება წარმოუთქვამთ.**

### გიორგი ჭალადიდელი

გიორგი ჭალადიდელი(გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩაქიძე) თერგდალეულთა სახელოვან პლეადას ეკუთვნის.მის პოეტურ ნიჭსა და მსოფლმხედველობას ძუძუ აწოვაიმიდეებმა,რომელითაც გამსჭვალული იყო 60-ნი წლების ქართველი ახალგაზრდობა და რომლის მედროშენი დიდი ილია და სამშობლოს გულმხურვალე მომღერალი აკაკი იყვნენ.ჭალადიდელმა მთელი თავისი პოეტური მგზნებარება და შემოქმედებითი ცეცხლი შეალია სამშობლოს სიყვარულს.

ჭალადიდელი დაიბადა სამეგრელოში სოფელ ჭალადიდში 1847 წელს. მამა მისი მაქსიმე, დავით დადიანის კარზე მიღებული კაცი იყო. როგორც პოეტის ბიოგრაფები გადმოგვცემენ მაქსიმე დადიანის წარმომადგენელიც ყოფილა თბილისში სამეგრელოს დამოუკიდებლობის დროს. ნიჭიერი და ენერგიული მოხელე მთავარ დადიანს შემდეგ მარტვილის დიამბეგადაც კი დაუნიშნავს.

მაქსიმე ქოჩაქიძე შვილების აზრდას უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა. 1859 წელს მას პატარა გიორგი შეჰყავს ქუთაისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში. გიორგი მოწაფეობის დროს მაინც და მაინც არ იჩენდა მუყაითობას, იგი გართული იყო ბურთის თამაშში, ჭიდაობაში, უყვარდა ქეიფი ტოლ-ამხანაგებში. ს. ძიძისტარაშვილის გადმოცემით გ.ჭალადიდელს ნაკლები სიბეჯითისა და აკადემიური წარმატების გამო რამდენჯერმე დაუპირეს გიმნაზიიდან დათხოვნა, მაგრამ გ. დადიანის მფარველობით მან შესძლო მაინც დაემთავრებინა გიმნაზია 1869 წელს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჭალადიდელში უცნაურის ძალით ილვიძებს სწავლის წყურვილი. მას სურდა მთელი გზნებით დასწაფებოდა ცოდნას, მეცნიერებას.

იგი მიემგზავრება რუსეთში და შედის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც 1873 წელს ამთავრებს და ღებულობს ოფიცრის ჩინს. გ. ჭალადიდელი მონაწილეობას ღებულობს რუსეთ-თურქეთის ომში. მამაცობისათვის მას გიორგის ჯვარიც მიულია. ამის შემდეგ იგი რუსეთის სამხედრო მოხელეა.ცხოვრობს რუსეთში.

სამშობლოს მოშორებული ჭალადიდელის ოცნება დასტრიალებს ქართულ მამულს. ლტოლვა მშობელი მიწისაკენ უცნაურის ძალით აღაგზნებდა მის მგრძნობიარე გულს. 1898 წელს ქ. მინსკში მძიმე ავადმყოფი პოეტი მიეცა სამუდამო განსვენებას. მისმა მღელვარე სულმა ვერ ჰპოვა დამშვიდება სამშობლოს ხილვით, ქართულ მიწის შვილს ანდერძი შეუსრულესა და მისი ცხედარი მიაბარეს ჭალადიდის მიწას.

ჭალადიდელი 60- იანი წლების ლიტერატურის პირმშოა. პოეზიას იგი მიზნად უსახავს უწმინდესს მოვალეობას—ესა ერის სამსახური, ეროვნული განთავისუფლების გრძნობის აღზრდა. მისი შემოქმედების მთავარი მოტივია დაჩაგრული მამული. ისე როგორც ილია ჭავჭავაძე, ჭალადიდელი პოეზიის დანიშნულებას ხედავს მის მოქალაქეობრივს ხასიათში. „გიყვარს სიმართლე, გიყვარს კეთილი,მტერი ხარ მარად ფარისევლობის, შენ ხარ მონატრე, შენ ხარ მსურველი შენი სამშობლოს კეთილდღეობის"—ასე მიმართავს იგი პოეტს.ჭალადიდელი ისე როგორც სხვა თერგდალეულები, გრძნობს ძველი ცხოვრების დრომოჭმულობას და ილიასებრ გაიძახის: „სიცოცხლე არის მოძრაობა, მოძრაობა არის ბრძოლა. რაც არ მოძრაობს ის ან გაქვავდება, ან ტბად იქცევა და აყროლდება."

ჭალადიდელის შეხედულებით მწერალს უნდა ახასიათებდეს ბრძოლა, მოქმედება, სიყვარული სამშობლოსადმი —ეს იდეები აფრთოვანებდნენ თერგდალეული პოეტის გულს. რუსეთის საქართველოში შემოსვლის შემდეგ, როგორც ცნობილია ჩვენში წყვდიადი ჩამოეშვა. ქართველი ხალხის ერთი ნაწილმა არჩია რა იოლი გზით სვლა, ზურგი შეაქცია ეროვნულ გამანთავისუფლებელ ბრძოლასა და რუსეთთან სამსახურს მიაშურა. თერგდალეულები გულის ტკივილით უცქეროდნენ ამ გარემოებას. ჩინები და ორდენები ზოგიერთ ქართველს ავიწყებდნენ მამულზე ზრუნვას. ჭალადიდელი ისე, როგორც მისი თანამოძმე თერგდალეულები, ებრძვის ამგვარ ხალხს, მას სამშობლოს აღორძინება ვერ წარმოუდგენია ეროვნული ბრძოლის გარეშე. ამიტომაა, რომ იგი მთელი ძალით აჟღერებს ჩანგს, რათა ქართველ ხალხში აანთოს ეროვნული გრძნობათა ახალი ალი.

ჭალადიდელს სამშობლოს გარეშე უხდებოდა ცხოვრება, მაგრამ გადახვეწილი მგოსანი მთელი ფიქრთა და აზრით მამულთანაა. „ოჰ, ფრთა მომცა ჩიტი ვიყო, მალი-მალ გავფრინდებოდე"—ოცნებობს იგი. პოეტი შეჰხარის მერცხალს, რომელიც არაოდეს არ ივიწყებს „თავის მხარეს", ნატრობს მერცხლობას.

„გამაცოცხლე, მანატრე
თუნდ საფლავში ვდნებოდე
აყვავებულ სამშობლოს
თუ კი მოვესწრებოდე." — ასე

ნატრობს პოეტი. მამულის აყვავება, სამშობლოს სიყვარული გასდევს მთელს მის პოეზიას. პოეტის ყოველ ლექსში გადმოსჩქეფან ცრემლ ნარევი სტრიქონები, რომლებიც მას გულიდან ამოაქვს.

ლეგ. ა. თ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# გიორგი მეთორმეტე

ერეკლე მეორის სიკვდილმა ქართველ ხალხს დიდი ეროვნული უბედურება მოუვლინა. საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბედი გადაიჭრა. რუსეთის იმპერია მოხერხებულ დროს ეძებდა მოეხდინა ჩვენი ქვეყნის სრული ანექსია, ძირი გამოეთხარა ჩვენი დამოუკიდებელი ეროვნული ცხოვრებისათვის. ოდესღაც ძლიერი საქართველოს სამეფო დაღუპვისაკენ მიექანებოდა.

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი და გვირგვინი, სახელმწიფო კანონის თანახმად, უნდა ჰკურთხებოდა მის უფროს შვილს გიორგი ბატონიშვილს. მაგრამ ამ გარემოებას ხელს უშლიდა ერთი საბედისწერო მოვლენა. როგორც ვიცით ერეკლეს მეუღლე ჯერ კიდევ სიყმაწვილეში მოუკვდა, მან ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის დადიანის ქალი დარეჯანი. დარეჯანი ცდილობდა როგორმე წაერთმია სამეფო სკიპტრა გერისათვის, რომელსაც კანონი აღიარებდა მეფედ. დედოფალი ილწვოდა როგორმე მიეღწია იმისათვის, რომ ტახტზე აეყვანა მისი ვაჟი იულონი. ამ სურვილს წინ ეღობებოდა სახელმწიფო კანონი, ამიტომ დედოფალი დარეჯანი სხვა გზას ეძებდა დაბრკოლების გადასალახავად. ერეკლე ცოლის ამგვარ სურვილს ებრძოდა, მაგრამ, როცა წყალმანკმა ერთიანად შეიპყრო მოხუცი მეფის სხეული და მისი მღელვარე სული მამულის ამაგით დამაშვრალი სამუდამო განსასვენებელს უნდა მისცემოდა, მან დასწერა ანდერძი და ძალაუნებურად მისცა დედოფალს დასტური.

გიორგიმ კარგად იცოდა დედინაცვლის ზრახვანი. ამიტომ გარდაიცვალა რა ერეკლე, თავი გამოაცხადა მეფედ; ერთგულებაზე დააფიცა ქიზიყი, შემდეგ გადავიდა ბორჩალოში, გორში. ბატონიშვილს მრავალი თაყვანისმცემელი აღმოუჩნდა კახეთშიც. საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა გვირგვინოსანი, რომელიც ჩვენს ისტორიაში იწოდება გიორგი მე-12-ის სახელით.

ახალ გვირგვინოსანს ბატონიშვილები მყისვე აუმხედრდნენ. მდგომარეობა ერთობ გართულდა. გიორგი მე-12-ს არ შესწევდა ძალა ჩაექრო შინაგანი ბრძოლის ცეცხლი. ამიტომ მან არჩია მორიგებოდა მოქიშპე დედინაცვალს, გააუქმა ძველი წესი სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა და შეამზოხეთ აღუთქვა, რომ ამიერიდან მას შესცვლიდაარამისი უფროსი ვაჟი დავითი, არამედ იულონი.

ამ შეპირებამ თითქოს ჩააქრო განხეთქილება. ბატონიშვილები თითქოს დაშოშმინდნენ. მაგრამ განვლო დრომ, გიორგი მე-12-ემ ფეხი მაგრად მოიკიდა და მომაგრდა, ბატონიშვილების მოთხოვნას ზურგი შეაქცია. ამან მთლად გაართულა მდგომარეობა და ბატონიშვილთა შორის შურისძიების ცეცხლი კიდევ ორრო გაალვივა. დაიწყო აშკარა ბრძოლა. ბატონიშვილები არაფერს არ ზოგავდნენ, ოღონდ ჩამოეგდოთ ტახტიდან გერი ძმა. ისინი თავიანთ საუფლისწულოებში ეწეოდნენ მეფის საწინაალმდეგო აგიტაციას, ახასიათებდნენ მას როგორც მამულის მოღალატეს.

ბატონიშვილებმა ყველა იმ უბედურებათა მიზეზად, რომელიც მაშინდელ საქართველოს ატყდებოდა თავს, ასახელებდნენ გიორგი მეფეს, რადგან უკანასკნელი მომხრე იყო გაეძლიერებინა რუსეთთან კავშირი.

ეს უკანასკნელი გარემოება არა ნაკლებ ამხედრებდა ბატონიშვილთა ბანაკს. დარეჯან დედოფლის ოპოზიცია და ბატონიშვილთა ბრძოლას გიორგის წინააღმდეგ ჯერ კიდევ შორეული დროიდან ჰქონდა გადგმული თავისი



ფესვები. ისტორიული წყაროებიდან ცხადია ის მდგომარეობა, რომ დარეჯანი ერეკლეს სიცოცხლეშივე უსაყიდურებდა 1783 წლის ტრაქტატის წინააღმდეგ. დარეჯანი იმის თქმასაც კი უბედავდა ერეკლეს, რომ ამ ტრაქტატით საქართველოს სამეფო დაანგრიეო. ამგვარად ჩვენის აზრით დარეჯანისა და ბატონიშვილთა ოპოზიცია არ შეიძლება ყოფილიყო მარტოდენ ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლა. ეს ოპოზიცია რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ხაზს აგრძელებდა და თვალი სპარსეთისაკენ ეჭირა. გიორგი მეფე ფრიად განსწავლული ადამიანი იყო. ჩვენი საისტორიო მწერლობა მას მოიხსენიებს როგორც შესანიშნავ რიტორსა და ღვთის-მეტყველს. მეფე უდიდეს სულგრძელობასა და მოთმინებას იჩენდა, მაგრამ დედინაცვლის ინტრიგები ისე აუტანელი შეიქნენ რომ მან ბრძანება გასცა იგი ქალაქიდან არ გაეშვათ. მეფე დასნეულებული იყო, ლოგინად ჩავარდა. შეამზოხე ბატონიშვილიბი შემოერტყნენ გარს ღედა-ქალაქს თიდის გასანთავისუფლებლად.

მეფე გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას. ამიერიდან მას მემკვიდრედ გამოცხადებული ჰყავდა დავით ბატონიშვილი. დავითი რუსეთში გაიზარდა, მასში გამომუშავებული იყო რუსული ოფიცრული სული. გენერალ-ლეიტენანტის ბრჭყვიალა ეპოლეტებით მოქარგულმა მემკვიდრემ ვერ გაამართლა მამის იმედი. დავითი ვერ ეგუებოდა სასახლის ეტიკეტს. ახალმა მემკვიდრემ სნეულ მამას კიდევ უფრო მოუსწრაფა აღსასრული იმის გამო, რომ ვოლტერიანობის იდეები გულმხურვალედ შეიტანა ქართულ სამეფო სასახლეში. დავითმა თავის ოთახში ვოლტერის სურათი ჩამოჰკიდა. სნეული მეფე აღაშფოთა ამ უმსგავსოებამ და ულვთო ვოლტერის სურათი ჩამოჰგლიჯა, ცეცხლს მისცა.

ბატონიშვილები კარგად გრძნობდნენ, რომ დავითი იყო რუსულ კულტურას ნაზიარევი ადამიანი, მას სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვას რუსის ოფიცრებთან ლრეობა ერჩივნა. საქართველოს სამეფო ტახტს კი სჭირდებოდა ნამდვილი მეჭირნახულე, ასეთ კაცად მათ მიაჩნდათ იულონი. დარეჯან დედოფლისა და საერთოდ იულონის მომხრეებს ჩვენის აზრით გარკვეული სოციალ-პოლიტიკური საფუძველი ამოძრავებდათ. ფაქტია ის გარემოება, რომ იულონი ფეოდალური არისტოკრატიის წამომადგენელი იყო, რომელსაც სპარსეთი უფრო ხიბლავდა, ვიდრე ორთავიანი რუსეთის არწივის შემწეობა.

გიორგი მე-12-ს მაჰმადიანებთან კავშირი ვერ წარმოედგინა. ქრისტიანული სარწმუნოებით გამსჭვალულსა და დასნეულებულს ბედის ძიების გზა რუსეთისაკენ გაჰყავდა. ჩვენი ისტორიკოსების მეტი ნაწილი გიორგის როგორც უკანასკნელ მეფეს არ სწყალობენ. ეს იმითაც აიხსნება, რომ იგი გვირგვინოსანი გახდა პატარა კახის შემდეგ. ისე როგორც დიდი ვარსკვლავების შუქი ჩრდილავენ პატარა ცდომილებს, ერეკლე მეფის ნაღვაწნი ჩრდილავდნენ მისი შვილის საქმეებს. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ გიორგი გაცილებით მაღლა იდგა მამაზე ცოდნის მხრივ. ისტორიას მოეპოება ცნობები იმის შესახებ, თუ რაოდენად ზედმიწევნით იცნობდა გიორგი ბატონიშვილი მსოფლიოს ისტორიას, სამხედრო ხელოვნებას და სხვა მეცნიერებებს.

საქართველოს სამეფოს ძირს უთხრიდნენ სხვა მოვლენებთან ერთად მეფის გვარეულობაში დაბადებული ქიშპი, რომლის მოსპობა ვერ შესძლო გიორგი მეფემ. არ შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ გიორგი მე-12-ის საგარეო პოლიტიკაში რუსეთისაკენ მისწრაფებას განსაკუთრებული მიმართება ჰქონოდა. იგი აგრძელებდა მამის მიერ რუსეთთან დაწყებულ ურთიერთობას, მან პეტერბურგში მეფის კარზე კვლავ დასტოვა მინისტრად გარსევან ჭავჭავაძე, რომელსაც დირექტივებიც ძველივე დარჩა. გიორგი მეფე ავალებს თავის ელჩს განუცხადოს მეფეს საქართველოს სამეფოს ხელშეუხლებლობა, სამეფო ტახტის დატოვება ბაგრატიონთა მემკვიდრეობაში.

რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულება და ურთიერთობა რა თქმა უნდა შურს დაჰბადებდა მაჰმადიან მეზობლებში. სპარსეთის შაჰმა ბაბა-ხანმა რამდენჯერმე შემოუთვალა გიორგის ხელი აეღო რუსეთთან მეგობრობაზე, მაგრამ უარი მიიღო. სპარსეთი სიძულვილით ივსებოდა, მაგრამ იმ ხანად როდი შესწევდა ძალა ცეცხლად მოსდებოდა საქართველოს. მაშინ სპარსეთის სახანოებში არევ-დარევა და ქიშპი სუფევდა. სამაგიეროდ საქართველოზე მახვილი აღმართეს ლეკებმა. ავარის მფლობელი ომარ-ხანი 18 ათასიანი ლაშქრით მოადგა საქართველოს. გარეკახეთში ბატონიშვილების იოანესა და ბაგრატის წინამძღოლობით მათ შეხვდათ ქართველთა ლაშქარი, რომელიც 3 ათასი კაცისაგან შესდგებოდა. ქართველებმა თითქოს უკანასკნელად, ბრძოლის განადგურებელი ცეცხლი დაანთეს, რაინდულად ტრიალებდა მათი ხმლები, თითქოს უკანასკნელად გრგვინავდნენ ქართული ზარბაზნები მთელი ძალით, რომ მტრებისათვის ეჩვენებინათ ქართველთ კიდევ შერჩენოდათ მხნეობა და თავგანწირვა. ომარ-ხანის რაზმები განადგურდნენ. თავზარდაცემული ლეკები სამარცხვინოდ დამარცხებულნი გარბოდნენ.

გიორგი მე-12 აშკარად ხედავდა მოწოლილ საფრთხეს. სნეულმა მეფემ დასწერა ქაღალდი რუსეთის იმპერატორის პავლეს სახელზე, რომელშიაც სთხოვდა შეერთებინა პატარა საქართველო, დაეტოვებინა უკანასკნელისათვის შინაგანი მართვა-გამგეობა, მეფეს სახელი და ღირსება შერჩენოდა. ელჩებმა ქაღალდი წაიღეს რუსეთში. სნეული მეფე ვერ მოესწრო პასუხი მოესმინა, იგი ელჩების დაბრუნებამდე გარდაიცვალა, 28 იანვარს 1800 წელს.

რუსეთი და პეტერბურგი კარგად გრძნობდა, რომ მეფის დღეები დათვლილნი იყვნენ, ამიტომ მათ უკვე მზად ჰქონდათ გეგმა, როგორ გაეჩანაგებინათ საქართველო. ალექსანდრე პირველმა ახალი მანიფესტი გამოსცა, რომელიც ასე იწყებოდა: **„არა ნივთთვისა, არა განვრცელებისათვის საზღვართა და ესრეთცე უკვე ვრცელისა ქვეყნისა ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართველობისასა. მხოლოდ პატივი და კაცო-**

(დასასრული მე-6 გვერდზე)



მარიამ დედოფალი

# ილუსტრირებული მიმოხილვა











ტუნისის ფრონტი. გერმანელთა ტანკი მიდის მოწინავე საცეცხლო პოზიციებზე.— ჩრდილოეთის ზღვებში. გერმანიის სამხედრო გემები სახაზო გემის თანხლებით მიემართებიან შორეულ წყლებისაკენ.— გერმანელთა მძიმე არტილერია ლადოგის ტბასთან.— მსუბუქი არტილერია იცვლის პოზიციას.—მავთულ-ხლართების შეკეთება სიმაგრეების წინ.

## სვლა ცხენისაა

| | | | |
|---|---|---|---|
| ი | ჩინ | ცა | ვე |
| ი | ხმა | ჭ | მი |
| სა | ა | გი | რი |
| ღი | ფა | სა | გე |
| | ზე | ა | |
| რი | მკრი | რი | ფა |
| მა | ღრო | მო | ლხა |
| ნვლილს | ო | ჩი | ზელ |
| ო | ნახ | ხმა | ა |

ამ 34 კვადრატში განლაგებული მარცვლები და ასოები დაფარეთ ჭადრაკის ცხენის სვლით ისე, რომ მიიღოთ ილია ჭავჭავაძის „დამაკვირდი“-დან ერთ-ერთი აფორიზმი.

## შეადგინეთ სიტყვები. № 2

ქვემოდ მოთავსებული ასოებისა და მარცვლებისაგან :

ააა ას ბა ბე ვან ვი ი და კუნ კრი ლა ლი ლი ლი ლი ლო მი მონ მცრე მი ნა ნი ნო ო ო რპი რა რა რმე რთვე სა სულ სო სა სერ სი ტრო ტი ტი ტა ძუ წყალ ქვე შკი შა ცხე ხი ხან მე მეს მი ლა თა.

შეადგინეთ სიტყვები შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. ხმელეთი ირგვლივ წყლით, 2. „რკინის თევზი“, 3. ცხოველი, 4. „სიბრძნე სიცრუის“ ავტორი, 5. იმერეთის მეფე, 6. ქართული დრამის მსახიობი, 7. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა, 8. ხილი, 9. საქართველოს ძველი დედა-ქალაქი, 10. მინერალური წყალი საქართველოში, 11. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ციური სხეულების მოძრაობის კანონებს, 12. გეომეტრიული სხეული, 13. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, 14. ესპანელი მწერალი, 15. მოსავლის ალება.

გაზ. „საქართველო“-ს № 8-ში მოთავსებული ამოცანების ამოხსნა:

### ცხენის სვლა:

„ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
ჩემსავით ცრემლთა დენასა.“

### შეადგინეთ სიტყვები. № 1.

1. ალმაშენებელი, 2. სარაჯიშვილი, 3. ჩოხა, 4. დაისი, 5. რაზმაძე, 6. ტროლეიბუსი, 7. სხვიტორი, 8. ადათი, 9. მფრინავი, 10. სიმონა, 11. ოლიმპია, 12. დიონისე, 13. კოლონია, 14. ყურძენი, 15. აკადემიკოსი.

# გიორგი მეთორმეტე

(დასასრული)

**ბრიობა სდებენ ჩვენზედა სამღვთოვალსა.**“ ახალმა „მფარველმა“ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გააუქმა. ტახტის მემკვიდრე დავითი ვერ ეღირსა სკიპტრის ხელში აღებას. ალექსანდრე პირველის მანიფესტი სხვა არაფერი იყო თუ არა საქართველოს ეროვნული თავისუფლების დამარხვა, დამხობა.

შემოვიდა რუსეთი საქართველოში თუ არა შეუდგა ანტი-რუსული მოძრაობის დათურგნვის. პირველ რიგში რუსეთი შეეცადა დარეჯან დედოფლისა და მისი ოპოზიციის ალაგვმას. იმპერატორის დავალებით მომქმედი ციციანოვი მეტს არაფერს აკეთებდა, რიგ-რიგობით გაეგზავნა შორეულს რუსეთში თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი მამულის შვილები. ბაგრატიონთა გვარეულობა მთლიანად გადაასახლეს რუსეთში. თვითმპყრობელური რუსეთის დამქაშმა საქართველოში, ციციანოვმა ისიც იცოდა, რომ ბაგრატიონთა სამეფოს დამხობას მათი ეკონომიურად გალატაკება უნდა მოჰყოლოდა. ბაგრატიონთა სასახლის ყველა მამულები რუსეთის ხაზინას გადაეცა, მათ დარბაზებში ღრეობდნენ რუსის ოფიცრები, თვით კი შორეული ცის ქვეშ ებრძოდნენ უკულმართი ცხოვრების საშინელებებს.

საქართველოში რუსეთის შემოსვლის დღიდან, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის განიავებასთან ერთად დაიწყო ქართველი ხალხის მასობრივი წინააღმდეგობანი რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ. ათეული წლების მანძილზე საქართველოში არ ჩამქრალან აჯანყებები. ქართველი ხალხი იარაღით ხელში ებრძოდა თვითმპყრობელურ რუსეთს. ერეკლესა და გიორგი მეფის მრავალრიცხოვან ოჯახიდან საქართველოს ახლოს მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილი დარჩენილიყო. მამულის სიყვარულით გულგახურებული ეს დიადი რაინდი, მამა-პაპური ხმლით ებრძოდა მოწოლილ რუსეთის საშინელებებს. რუსს გენერლებს მოსვენებას არ აძლევდა ალექსანდრე ბატონიშვილის გმირობა და თავგანწირვა. ვიდრე ეს თავისუფალი საქართველოს მეოცნებე ხმლის რაინდი მამულის საზღვრებთან დაფრინავდა, ქართველი ხალხის გულში ღელავდა მონობისაგან ბრძოლით თავის დაღწევის მამულიშვილური სურვილი და რუსეთიც საქართველოს სრულად არ თვლიდა დამონებულად.

ქართველი ხალხი იბრძოდა და დღესაც იბრძვის დაჩაგრული მამულის განთავისუფლებისათვის. დღევანდელი მამულიშვილური ბრძოლა, რომელსაც ქართველი ხალხის ახალგაზრდა თაობა აწარმოებს ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ, არის გაგრძელება იმ ბრძოლისა, რომელსაც ჩვენი დიადი წინაპრები აწარმოებდნენ საუკუნეთა მანძილზე.

ჩვენი დრო ელის ახალ ალექსანდრე ბატონიშვილებს, ელის ხმლისა და სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულ გმირებს, რომლებმაც უნდა იბრძოლონ ისეთივე შთაგონებითა და პათოსით, როგორც იბრძოდნენ ჩვენი მამები...

ქართველ ხალხს გააჩნია ბრძოლის სახელოვანი ტრადიცია. ათასწლოვანია ეს ტრადიცია. იგი გამოვლილია სისხლსა და ბრძოლაში, დაბადებულია ხალხის გულისთქმასა და უძლეველობაში. ამ ტრადიციამ კვლავ უნდა იზეიმოს თავისუფალ მამულში.

**ლეგ. ლ. ლინი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე.
**წერილები უნდა გამოეგზავნოს შემდეგი მისამართით:**
**Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28**

**ქართული სტამბა, ბერლინი.**
**Deutscher Verlag, Berlin.**